

10. S. W. გამოთიანებული სამეცნის შინააღმდეგ

22 ნოემბერი, 1995 წელი

მსჯავრდება მხრივდებამხრივ კანონის საჭურვალური (მე-7 მუხლი)

ძირითადი ფაქტები:

განმცხადებელი დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომია. მეუღლესთან რამდენიმეწლიანი რთული ოჯახური ცხოვრების შემდეგ 1940 წლის 18 სექტემბერს მეუღლემ განუცხადა, რომ მათი ქორწინება დასრულდა. იმავე სასამართლოს მან აიძულა თავისი მეუღლე სქესობრივ კონტაქტზე მისი ნების საწინააღმდეგოდ. ცოლმა მას ბრალი დასდო გაუპატიურების, მკვლელობის მუქარისა და თავდასხმისათვის.

ერთი თვით აღრე სასეფო სასამართლომ სხვა საქმის განხილვის დროს (R against R) მხარი დაუჭირა მამაკაცის მსჯავრდებას ცოლის გაუპატიურების მცდელობისათვის. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა სააპელაციო სასამართლომ 1991 წლის აპრილში, როთაც, ფაქტობრივად, დააფუძნა ახალი სასამართლო. პრეცედენტი და უარყო ძელი, რომელიც 1736 წელს იქნა დადგენილი და რომელიც გაუპატიურების საქმეებზე მეუღლის იმუნიტეტს, აფუძნებდა. მოგვიანებით, 1991 წლის ოქტომბერში, საპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ლორდთა პალატამაც დაადასტურა. პალატა მივიღა დასკვნამდე, რომ 1736 წლის პრეცედენტი ასახავდა იმდროინდელი ეპოქის საერთო სამართალს, მაგრამ საერთო სამართლის მოქნილობა საშუალებას. იძლეოდა, რომ ახალ სოციალურ პირობებში მეუღლის იმუნიტეტზე უარი ეთქვათ.

სასამართლო, რომელმაც განიხილა საქმე განმცხადებლის მიმართ, დაუყრდნო ახალ პრეცედენტს და მსჯავრი დასდო მას მეუღლის გაუპატიურებისათვის.

განმცხადებლის არგუმენტი:

სასამართლოს არ პქრნდა უფლება დაყრდნობოდა ახალი სასამართლო პრეცედენტით დადგენილ სამართლებრივ ნორმას და მიეკა მისთვის უკუმალა. ამით დაირღვა ევროპული კოვენციის მე-7 მუხლის I პუნქტით გათვალისწინებული უფლება, რომელიც კრძალავდა ისეთი ქმედებისათვის მსჯავრდებას, რომელიც ჩადენის მომენტში არ ითვლებოდა დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის. მიხედვით,

სასამართლოს შეფასება :

სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ შეიმუშავა ძირითადი პრინციპები, რომლებიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული. მან:

ა) ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული უფლება სამართლის უზენაესობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მისგან გამონაკლისები კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე დაუშვებელი იყო ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი;

ბ) მოიხსენია სისხლის სამართლის პრინციპი – *nullum crimen, nulla poena sine lege*, აგრეთვე პრინციპი, რომლის მიხედვით დაუშვებელი იყო სისხლის სამართლის კანონის განვრცობითი განმარტება ბრალდების საზიანოდ;

გ) აღნიშნა, რომ „კანონი“ მე-7 მუხლის გავებით მოიცავდა დაწერილ და დაუწერელ სამართალს და აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა „ხელმისაწვდომობა“ და „განჭვრეტადობა“.

დ) მიუთითა, რომ რაც არ უნდა ზუსტად ყოფილიყო ნორმა ფორმულირებული, გარდაუგალი იქნებოდა მისი სასამართლო განმარტების აუცილებლობა ცვლადი გარემოებებისადმი ნორმის აღაპტაციის მიზნით; ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა, როგორც სამართლის წყარო, ხელს უწყობდა მის განვითარებას

სასამართლომ გაიზიარა მთავრობის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოხსენებული საქმის განხილვის დროს დიდ ბრიტანეთში უკვე ეჭვის თვალით უფრებდნენ მეუღლის იმუნიტეტის იურიდიულ ძალას და არსებობდა ყველა ნიშანი ეკარაუდათ, რომ სასამართლო პრაქტიკა წინ გაუსწრებდა კანონმდებელს უკვე აღიარებული იყო მასკაცისა და ქალის თანასწორობა ქორწინებაში. სააპელაციო სასამართლოსა და ლორდთა პალატის გადაწყვეტილებები წარმოადგენდა მხოლოდ გაგრძელებას სასამართლო პრაქტიკაში არსებული ტენდენციისა, უარი ეთქვათ მეუღლის იმუნიტეტზე გაუპატიურების საქმეებში. ეს ევოლუცია იმ დროისათვის უკვე ისეთ ხარისხს აღწევდა, რომ სასამართლო პრაქტიკის მიერ მეუღლის იმუნიტეტის გაუქმება უკვე გახდა აღვილად საკარაულო და მოსალოდნელი. გარდა ამისა, ამ ანაქრონიზმად ქცეულ და მიუღებელ იდეაზე უარის თქმა შეესაბამებოდა არა მარტო ქორწინების ცივილიზებულ კონცეფციას, არამედ კონვენციის ფუძემდებლურ მიზნებს, რომელთა ძირითად არსეს ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემა წარმოადგენდა.

შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-7

მუხლს.

ძირითადი დასკვნა:

„კანონი“ ევროპული კონვენციის გაგებით, გულისხმობს დაწერილი და დაუწერელი სამართლის ნორმებს და ის უნდა აკმაყოფილებდეს „ხელმისაწვდომობისა“ და „განკურეტადობის“ კრიტერიუმებს.